საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტად“ რეორგანიზაციის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ატრიბუტიკის შეცვლასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13, 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბრის N.413 დადგენილების, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის N132 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო გერბიანი ბლანკების, ბეჭდებისა და სხვა საშუალებების დამზადების, გამოყენების, შენახვისა და განადგურების წესის“, ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14, 44-ე მუხლების, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დებულების პირველი მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2012 წლის 21 მარტიდან შეწყდეს: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ბეჭდის და ბლანკის გამოყენება;

2. 2012 წლის 21 მარტიდან ა(ა)იპ - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის:

ა) ყველა სახის ოფიციალური დოკუმენტაცია დამოწმებულ იქნას ბეჭდით, რომელზეც გამოსახულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ლოგო; (დანართი 1)

ბ) 2012 წლის 21 მარტიდან ა(ა)იპ- „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის საქმისწარმოებაში გამოყენებული იქნეს ბლანკი თსსუ-ის ლოგოს გამოსახულებით (დანართი 2).

გ) გასული დოკუმენტაციის აღნუსხვის მიზნით, გამოყენებულ იქნას ა(ა)იპ- „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის სარეგისტრაციო შტამპი (დანართი 3).

3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ბლანკების და ბეჭდის განადგურების მიზნით შეიქმნას კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

ა) მზია დუნდუა - იურიდიული სამსახურის უფროსი;
ბ) ნინო ჩიხრაძე - კანცელარიის უფროსი;
გ) მერი პატიაშვილი - კანცელარიის უფრ.სპეციალისტი;

4. კომისიამ უზრუნველყოს სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ბლანკის განადგურება ,,სახელმწიფო გერბიანი ბლანკების, ბეჭდებისა და სხვა საშუალებების დამზადების, გამოყენების, შენახვისა და განადგურების წესის" შესაბამისად.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ზაზა ბოხუა.

6. ბრძანება ეგზავნება: კანცლერს, ვიცე-რექტორს, რექტორის მოადგილეებს, კანცლერის მოადგილეს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს

7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი

დანართი 2

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული
განვითარების ინსტიტუტი

TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY
INSTITUTE OF POSTGRADUATE MEDICAL EDUCATION AND CONTINUOUS PROFESSIONAL DEVELOPMENT

N ____________ __ ________ 201 წ.

PER TRADITIONES AD FUTURUM

0186 საქართველო, თბილისი, ასათიანის 7 VII სართული; 7, Asatiani str. VII floor, 0186 Tbilisi, Georgia. ტელ /Tel: (+995 32) 222-33-22; 254-25-50
ფაქსი / Fax: (+995 32) 223-03-91; 254-25-47 ელ-ფოსტა / E-mail: postgraduate@tsmu.edu; ვებ-გვერდი /URL: www.tsmu.edu

[illegible]
[illegible]
[illegible]